

აუდიტ-კომპანი



AUDIT-COMPANY

დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია“

AUDIT COMPANY LLC

19 D Gamrekeli Street

Tbilisi, Georgia

2022

შპს „აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ს ა რ ჩ ე ვ ი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	-----	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წელი	-----	7
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-----	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წელი	-----	9
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ 2021 წელი	-----	10
წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	---	11



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს აღმოსავლეთის ენერგოკორპორაციის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აღმოსავლეთის ენერგოკორპორაციის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალურ ანგარიშებს 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ასევე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპების მოკლე აღწერილობის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების ინდივიდუალურ მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიასგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. მმართველობით ანგარიშში მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ. ჩვენი

დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას არ გამოვხატავთ. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ცოდნის არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიას მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიას ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიას ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება.

საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, იმავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიკაციას ვუკეთებთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;

- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;

- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

- ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის თუ საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიას აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. პასუხისმგებლობა აუდიტორულ დასკვნაზე გვეკისრება მხოლოდ ჩვენ.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს “აუდიტ კომპანი”

დირექტორი, გარიგების პარტნიორი,

გ. გაგნიძე

აუდიტორი

კ. ღრუბელაშვილი

თბილისი საქართველო

6 აპრილი, 2022

შპს აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ათასობით ლარში	შენიშვნები	2021	2020
ამონაგები	1	16,308.30	13,880.32
სხვა შემოსავალი	1.1	1,436.06	486.96
შრომის ანაზღაურება		(2,652.74)	(2,273.87)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	2.1	(2,359.16)	(2,311.51)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	2.2	(1,152.46)	(308.86)
მომსახურების ხარჯი	2.3	(751.40)	(360.69)
სხვა საოპერაციო ხარჯები	2.4	(56.60)	(59.44)
მოგება ცვეთის და ამორტიზაციის, ფინანსურ და მოგების გადასახადის ხარჯებამდე		10,771.99	9,052.91
ცვეთის ხარჯები		(1,456.87)	(1,516.15)
მოგება ფინანსურ და მოგების გადასახადის ხარჯებამდე		9,315.12	7,536.76
ფინანსური ხარჯი		0	(3,344.19)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		9,315.12	4,192.58
მოგების გადასახადის შემოსავალი		0	0
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მიმდინარე წლის მოგება		9,315.12	4,192.58
დუან ჩაო გენერალური დირექტორი	რევაზ ბერიანიძე ფინანსური მენეჯერი		

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ათასობით ლარში	შენიშვნები	2021	2020
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3.1	20,345.44	9,662.28
მოთხოვნები მიწოდებიდან	3.2	863.94	655.42
გადახდილი ავანსები	3.3	391.72	179.52
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3.4	39.33	109.49
წინასწარ გადახდილი გადასახადები		57.43	847.26
სულ მიმდინარე აქტივები		21,697.86	11,453.96
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3.5	26,186.78	27,295.97
არამატერიალური აქტივები		0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		26,186.78	27,295.97
სულ აქტივები		47,884.64	38,749.93
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	4.1	1,271.10	151.72
გადასახდელი პროცენტები	4.2	22,493.01	23,792.80
სულ მიმდინარე ვალდებულებები		23,764.11	23,944.52
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		18,097.28	18,097.28
დაუფარავი ზარალი		(3,291.87)	(7,484.45)
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		9,315.12	4,192.58
სულ საკუთარი კაპიტალი		24,120.53	14,805.41
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		47,884.64	38,749.93

დუან ჩაო
გენერალური დირექტორი

რევაზ ბერიანიძე
ფინანსური მენეჯერი

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ათასობით ლარში	შენიშვნები	2021	2020
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		9,662.28	8,675.44
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული მფლობელებისგან ფულადი სახსრები (+)		16,122.91	13,847.25
მიღებული მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები (-)		(2,131.52)	(2,387.83)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები (-)		(2,150.89)	(1,835.90)
გადახდილი გადასახადები (-)		(1,024.19)	(1,227.21)
გაუთვალისწინებელი შემოსავლები (+)		29.24	27.08
გაუთვალისწინებელი ხარჯები (-)		0	0
სხვადასხვა (ქველმოქმედება, კურსთა შორის სავაობა) (-/+)		(470.55)	887.78
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		10,375.00	9,311.16
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა (-)		(236.09)	(1,013.51)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ფულადი სახსრები (+)		0	3.00
მიღებული პროცენტები (+)		544.26	459.90
მიღებული დივიდენდები (+)		0	0
სხვადასხვა (-/+)		0	0
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		308.17	(550.61)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
პარტნიორის მიერ საწესდებო კაპიტალის შევსება (+)		0	0
მიღებული გრძელვადიანი სესხები (+)		0	0
გადახდილი გრძელვადიანი სესხები (-)		0	(3,727.33)
გადახდილი პროცენტები (-)		0	(4,046.38)
გადახდილი დივიდენდები (-)		0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		0	(7,773.71)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს		20,345.44	9,662.28
ფულადი სახსრების და ექვივალენტების ზრდა (კლება)		10,683.16	986.84

დუან ჩაო
გენერალური დირექტორი

რევაზ ბერიანიძე
ფინანსური მენეჯერი

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ათას ლარებში

#	მაჩვენებლები	საწესდებო კაპიტალი	საემისი ო კაპიტა ლი	სარეზერვო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	სხვა რეზერვები და დაფინანსებ ა	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ
I	ნაშთი საანგარიშო პერიოდის წინა წლის 1 იანვრისთვის	18097.28	0	0	0	0	(7484.45)	10612.83
1	საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება							
2	ქონების გადაფასება							
3	ინვესტიციების გადაფასება							
4	მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აუღიარებული მოგება (ზარალი)							
5	პერიოდის მოგება (ზარალი)							4192.58
6	დარიცხული დივიდენდები							
7	სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში							
II	ნაშთი საანგარიშო პერიოდის 1 იანვრისთვის	18097.28					(3291.87)	14805.41
1	საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება							
2	ქონების გადაფასება							
3	ინვესტიციების გადაფასება							
4	მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აუღიარებული მოგება (ზარალი)							
5	პერიოდის მოგება (ზარალი)							9315.12
6	დარიცხული დივიდენდები							
7	სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში							
III	ნაშთი მომავალი პერიოდის 1 იანვრისთვის	18097.28					6023.25	24120.53

დუან ჩაო
გენერალური დირექტორი

რევაზ ბერიანიძე
ფინანსური მენეჯერი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1 ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია (შემდეგში კომპანია) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ოფიციალური იურიდიული მისამართია ველისციხის ქუჩა #8, თბილისი, 0178, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება. იგი ფლობს ხადორის ჰიდროელექტროსადგურს და დარეგისტრირებულია ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ როგორც წარმოების ლიცენზიანტი. ამავე დროს კომპანია 2014 წლიდან დარეგისტრირებულია როგორც ელექტროენერგიის ექსპორტიორი.

აღნიშნულის გარდა, 2012 წლის სექტემბრიდან, კომპანიის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი ხადორი 110-ის მეშვეობით ხადორჰესი 2-ის მფლობელი კომპანია ახორციელებს ელექტროენერგიის მიწოდება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ახმეტის ქვესადგურამდე.

2021 წლის 31 აგვისტომდე, კომპანიის 100% წილის მფლობელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სახელმწიფო ელექტროსისტემის საერთაშორისო განვითარების კორპორაცია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

2021 წლის 31 აგვისტოდან, კომპანიის 100% წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება SCIG INTERNATIONAL LIMITED, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საწარმოს ეკონომიკური რესურსების და ამ საწარმოს მიმართ მოთხოვნების (ვალდებულებები) ტრანზაქციების და სხვა მოვლენები აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით, ანუ დროის იმ მონაკვეთში (პერიოდში) როცა ეს ტრანზაქციები და სხვა მოვლენები მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ფულის მიღება ან ფულის გადახდა დროის სხვა (ამ პერიოდისგან სხვა) პერიოდში მოხდა ან მოხდება. ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც დროის მოცემულ პერიოდში ანგარიშგების წარმდგენი საწარმოს ეკონომიკურის რესურსების და ამ საწარმოს მიმართ მოთხოვნების, ისევე როგორც ამ საწარმოს ეკონომიკური რესურსების და მის მიმართ მოთხოვნების ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არის უკეთესი საფუძველი საწარმოს წარსული და მომავალი საქმიანობის შესაფასებლად, ვიდრე ინფორმაცია ამავე პერიოდში ფულის მიღების ან ფულის გადახდის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე.

3 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. საწარმოს არა აქვს განზრახული ლიკვიდაციის პროცესში შესვლა ან საქონლის ან მომსახურების ბაზარზე მიწოდების შეწყვეტა.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ა უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ

აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ ამონაგები

სტანდარტების მიხედვით „ამონაგები“ (შემოსავალი) განმარტებულია როგორც „საკუთარ კაპიტალში ასახვადი აქტივების ზრდა ან ვალდებულებების შემცირება, გარდა კაპიტალზე მოთხოვნის მფლობელის შენატანებისა“

ამონაგების აღიარება ხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ (ფასს 15)

კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მხოლოდ ელექტროენერგიის მიწოდებაზე და ელექტროენერგიის გატარებაზე, რაც კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობაა.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

დეტალური ინფორმაცია ელექტროენერგიის მიწოდებიდან და ელექტროენერგიის გატარებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ მოცემულია შენიშვნა 1-ში.

სხვა შემოსავალი კომპანიის მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებია.

ბ ხარჯები

კომპანია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯებს (განმარტებულია როგორც საკუთარ კაპიტალში ასახვადი აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა, გარდა კაპიტალზე მოთხოვნის მფლობელზე განხორციელებული გადახდებისა) აღიარებს მაშინ, როგორც კი აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა. კომპანიის ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შენიშვნა 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5-ში

დ აქტივები

სტანდარტებით აქტივი განმარტებულია როგორც „ახლა არსებული ეკონომიკური რესურსები რომლებსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენებიდან გამომდინარე.“

ეკონომიკური რესურსი არის უფლება რომელსაც გააჩნია მომავალში სარგებლის მოტანის პოტენციალი.

კომპანიის აქტივების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართი 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.5-ში

ე ვალდებულებები

სტანდარტების მიხედვით, ვალდებულებები განმარტებულია როგორც „საწარმოს არსებული ვალდებულება გადასცეს ეკონომიკური რესურსი სხვა საწარმოს რაც გამოწვეულია წარსულში მომხდარი მოვლენებით“.

ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართი 4.1, 4.2 -ში

3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღრიცხულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და/ ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევითაა აისახება მოგებაში ან ზარალში. ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება.

ცვეთა

2014 წლამდე შეძენილ/შექმნილ ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საგადასახადო კოდექსის ცვეთის ნორმების შესაბამისად.

2014 წლის შემდეგ შეძენილ/შექმნილ ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება ცვეთის წრფივი მეთოდით.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა:

საოპერაციო შენობები	55წელი
ადმინისტრაციული შენობები	65 წელი
ქვესადგურის შენობა	45 წელი
ავეჯი და მოძრავი ინვენტარი	10 წელი
კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	5 წელი
ინსტრუმენტები/მოწყობილობები	10 წელი
მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	8 წელი
სათავე, სადერივაციო და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობები	45 წელი
ჰიდროელექტროსადგურის სხვა მოწყობილობები და აღჭურვილობა	30 წელი
ძალოვანი აგრეგატები	25 წელი

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი აისახება მოგებაში/ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

დეტალური ინფორმაცია ძირითადი საშუალებების შესახებ მოცემულია შენიშვნა 3.6-ში

ზ სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შემენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

თ ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მოიცავს დებიტორულ დავალიანებას (3.2 შენიშვნა), ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს (3.1 შენიშვნა).

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

კომპანია თავდაპირველი აღიარებისას, გარიგების ფასით (ფასს 15-ში მოცემული განმარტების შესაბამისად) აფასებს სავაჭრო მოთხოვნებს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

შემდგომში ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე.

o **ფინანსური ვალდებულებები**

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს კრედიტორულ დავალიანებას (4.1 შენიშვნა) და გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებს (4.2 შენიშვნა). აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარების შეწყვეტას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება.

შემდგომში ფინანსური ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

გადასახადები და მოსაკრებლები

მოგების გადასახადი

საქართველოში ბანკების, სადაზღვეო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, მოგების გადასახადით იბეგრება განაწილებული მოგება, მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში. გადახდის ფაქტიური თარიღის ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

დამატებული ღირებულების გადასახადი

წარმოებული ელექტროენერგიის გაყიდვა გათვალისწინებულია დღგ-სგან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერგიის მყიდველი პირდაპირი მომხმარებელია. 2021 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის მთლიანი მიწოდება განხორციელდა ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტზე და შესაბამისად მიწოდება დღგ-ით არ დაბეგრულა.

კომპანია არიცხავს დღგ-ს ელექტროენერგიის გატარების ღირებულებას.

საშემოსავლო გადასახადი

კომპანია იხდის **საშემოსავლო გადასახადს** საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთებით

ქონების გადასახადი

კომპანია იხდის ქონების გადასახადს ქონების წლიური საშუალო ნარჩენი ღირებულების საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -1%.

კომპანია იხდის **მიწის გადასახადს** როგორც საკუთრებაში არსებულ, ისე კომპანიის სარგებლობაში მყოფ მიწის ნაკვეთებზე.

ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამოყენებულ წყლის რესურსებზე კომპანია იხდის **წყლის მოსაკრებელს**. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემული ხარჯად აღიარებულ გადასახადებზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია შენიშვნა 2.2-ში.

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2018 წლის 12 აპრილის ბრძანება #8448 შესაბამისად განხორციელდა კომპანიის გასვლითი საგადასახადო შემოწმება. შემოწმებამ მოიცვა პერიოდი 2015 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

აუდიტის დეპარტამენტმა გასვლითი საგადასახადო შემოწმების შედეგების მიხედვით 2018 წლის 12 დეკემბერს გამოსცა საგადასახადო მოთხოვნა #094-230, რომლის მიხედვითაც კომპანიას გადასახდელად მხოლოდ გადასახადების ძირი თანხის მიხედვით დაერიცხა 644 340 ლარი. კომპანია არ დაეთანხმება ზემოთაღნიშნულ დარიცხვას და გააგრძელა დავა ფინანსთა სამსახურის სისტემაში.

2020 წლის 28 მაისს, აუდიტის დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება #13955, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ნაწილობრივ გაითვალისწინა კომპანიის მიერ საჩივარში მოყვანილი არგუმენტები და შეამცირა დარიცხული თანხა 208 935 ლარით. კომპანია ისევ არ დაეთანხმა აღნიშნულ ბრძანებას და ისევ გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურში.

2020 წლის 03 აგვისტოს შემოსავლების სამსახურმა გამოსცა ბრძანება #22234, რომლის მიხედვითაც კომპანიის მიერ სარჩელში მოყვანილი არც ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. კომპანია ისევ არ დაეთანხმა ბრძანება #22234 და გაასაჩივრა ის ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში 2020 წლის 18 აგვისტოს.

2021 წლის 06 მაისს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ გამოსცა გადაწყვეტილება #8300/2/2019, რომლის მიხედვითაც კომპანიის მიერ სარჩელში მოყვანილი არც ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. კომპანიის ხელმძღვანელობამ სასამართლოში დავა აღარ გააგრძელა. აუდიტის დეპარტამენტის მიერ დარიცხული თანხები აღიარებულია როგორც 2021 წლის საგადასახადო ხარჯი.

შენიშვნები

თანხები მოცემულია ათასობით ლარში

შენიშვნა 1

ამონაგები

	2021	2020
ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	16,171.87	13,747.35
ამონაგები ელექტროენერგიის გატარების მომსახურებიდან	136.43	132.97
ამონაგები სულ	16,308.30	13,880.32

შენიშვნა 1.1

სხვა შემოსავალი

	2021	2020
საპროცენტო შემოსავლები	544.26	459.90
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი	882.79	0
აქტივის გაყიდვიდან მიღებული მოგება	0	0.34
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9.01	26.72
სხვა შემოსავალი სულ	1,436.06	486.96

შენიშვნა 2.1

რემონტი და ტექნიკური მომსახურება

	2021	2020
ტექნიკური მომსახურება	2,167.11	1,772.49
რემონტისათვის გამოყენებული მარაგები	131.72	229.29
სარემონტო მომსახურება	60.33	309.73
რემონტი და ტექნიკური მომსახურება სულ	2,359.16	2,311.51

შენიშვნა 2.2

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესული გადასახადები

	2021	2020
ქონების გადასახადი	294.33	303.62
მიწის გადასახადი	4.81	4.81
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	0.20	0.14
აუდიტის დეპარტამენტის მიერ დარიცხული თანხები	853.12	
სხვა		0.29
რემონტი და ტექნიკური მომსახურება სულ	1,152.46	308.86

შენიშვნა 2.3

მომსახურების ხარჯები

	2021	2020
კომუნიკაციის ხარჯები	20.01	20.67
დაცვის ხარჯი	68.49	55.91
დაზღვევის ხარჯები	72.91	66.69
საკონსულტაციო ხარჯები	28.51	22.46
მივლინების ხარჯები და ავიაბილეთები	385.96	6.29
კომუნალური ხარჯები	18.77	8.67
ტრანსპორტირების, საბროკერო და სატერმინალო მომსახურება	3.07	13.63
ბანკის ხარჯები	1.03	1.32
ოფისის ქირის ხარჯი	51.47	44.01
მიკროავტობუსის ქირის ხარჯი	9.32	27.44
ჰუმანიტარული დახმარების ხარჯი	0	35.16
თანამშრომლების PCR ტესტირების ხარჯი	36.34	18.10
სხვა საერთო ხარჯები	55.50	40.35
მომსახურების ხარჯები სულ	751.40	360.69

შენიშვნა 2.4	საოპერაციო ხარჯები	2021	2020
რეგულირების საფასური		32.34	27.50
ესკოს მომსახურება		23.54	19.91
ელექტროენერგიის დისპეჩერიზაცია/გადაცემა		0.08	0.02
სისტემიდან ნაყიდი ელექტროენერგია		0.40	0.13
ექსპერტების მომსახურება		0	11.62
სიმ ბარათები (ალფა ცენტრი)		0.24	0.26
საოპერაციო ხარჯები სულ		56.60	59.44

შენიშვნა 3.1	ფულადი სახსრები	2021	2020
ნაღდი ფილი სალაროში		28.60	0.22
ლარი საბანკო ანგარიშებზე		4,079.63	2,562.04
დოლარი საბანკო ანგარიშებზე		16,237.22	7,100.02
ფულადი სახსრები სულ		20,345.44	9,662.28

შენიშვნა 3.2	მოთხოვნები მიწოდებიდან	2021	2020
ელექტროენერგიის მიწოდებით წარმოშობილი დებიტორული დავალიანება		851.00	641.73
ელექტროენერგიის გატარების მომსახურებით წარმოშობილი დებიტორული დავალიანება		12.94	13.69
მოთხოვნები მიწოდებიდან სულ		863.94	655.42

შენიშვნა 3.3	გადახდილი ავანსები	2021	
სს ენერგო პრო ჯორჯია		75.00	
შპს ლადო		11.68	
Sichuan Guozhong Power Equipment Co. Ltd		33.75	
WEN CHUAN WESTERN SICHUAN ELECTRONIC CO., LTD		249.68	
სხვა		21.61	
გადახდები ავანსები სულ		391.72	

შენიშვნა 3.4	სასაქონლო მატერიალური მარაგები	2021	2020
საწვავი, მცირეფასიანი ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები, მცირეფასიანი სამუშაო იარაღები თბილისის ოფისში		23.02	4.23
საწვავი, ჰიდროელექტროსადგურის მარაგნაწილები, მცირეფასიანი სამუშაო იარაღები, სარემონტო მასალები, მცირეფასიანი ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები ხადორის ჰიდროელექტროსადგურში		16.31	105.27
სასაქონლო მატერიალური მარაგები სულ		39.33	109.49

შენიშვნა 3.5	ძირითადი საშუალებები	2021	2020
მიწა		9.38	9.38
შენობები		2,681.96	2,815.62

ნაგებობები	13,559.48	14,261.27
გადამცემი ხაზები	2,255.60	2,368.42
წყლის საბრუნავი მოწყობ.-ბი, ტურბინები და გენერატორები	3,234.46	3,392.74
ელექტრო მოწყობილობები	2,660.38	2,490.25
გენერაციის სხვა მოწყობილობები	1,400.58	1,502.41
ოფისის აღჭურვილობა	71.85	85.48
ავეჯი და სხვა ინვენტარი	240.33	266.80
სატრანსპორტო საშუალებები	72.76	103.59
ძირითადი საშუალებები სულ	26,186.78	27,295.97

შენიშვნა 4.1 კრედიტორული დავალიანება

	2021
სემეკი	4.08
შპს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"	1.31
სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	19.97
შპს "თბილისი ენერჯი"	1.53
შპს "ავერსის კლინიკა"	4.71
Shenyang Getai Hydropower Equipment Co., Ltd	4.42
XJ INTERNATIONAL ENGINEERING CORPORATION	45.94
შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში	36.69
North China International Power Economic & Trade Corp.	3.93
SCIG Tianfu International Trading (Sichuan) Co., Ltd	1,144.39
სხვა	4.13
კრედიტორული დავალიანება სულ	1,271.10

შენიშვნა 4.2 გადასახდელი პროცენტები

	2021	2020
STATE GRID INTERNATIONAL DEVELOPMENT CO., LTD	0	23,792.80
Interest Payable to SCIG International Limited	22,493.01	0
გადასახდელი პროცენტები სულ	22,493.01	23,792.80

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

STATE GRID INTERNATIONAL DEVELOPMENT CO., LTD (კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი 2021 წლის 31 აგვისტომდე), SCIG INTERNATIONAL LIMITED (კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი 2021 წლის 31 აგვისტოდან) და WEN CHUAN WESTERN SICHUAN ELECTRONIC CO., LTD წარმოადგენენ შპს აღმოსავლეთის ენერგოკორპორაციასთან დაკავშირებულ კომპანიებს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, SCIG INTERNATIONAL LIMITED -სთვის გადასახდელი პროცენტის თანხა შეადგენს 7 261 429.82 აშშ დოლარს.

WEN CHUAN WESTERN SICHUAN ELECTRONIC CO., LTD ტექნიკურ მომსახურებას უწევს კომპანიის კუთვნილ ხადორის ჰიდროელექტროსადგურს. 2021 წლის განმავლობაში აღნიშნული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 311 387.76 აშშ დოლარი.

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

„პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის #646 დადგენილების მიხედვით, კომპანია მიჩნეულია მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტად. იმ

ვალდებულებების შესრულება, რომლების კომპანიას დაეკისრა ამ დადგენილებით, დამატებით ფინანსურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს.

სხვა მნიშვნელოვან მოვლენას რომლის განმარტებაც საჭირო იქნებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილი არ ჰქონია.

დუან ჩაო
გენერალური დირექტორი

რევაზ ბერიანიძე
ფინანსური მენეჯერი

- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.
- ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის თუ საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიას აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. პასუხისმგებლობა აუდიტორულ დასკვნაზე გვეკისრება მხოლოდ ჩვენ.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს „აუდიტ-კომპანი“

(აუდიტორული ფირმის ინდივიდუალური

სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-128338)

გ.გაგნიძე

დირექტორი, გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

(ინდივიდუალური სარეგისტრაციო

ნომერი SARAS-A-967119)

აუდიტორი

კ. ღრუბელაშვილი

(ინდივიდუალური სარეგისტრაციო

ნომერი SARAS-A-418095)



Handwritten signature in blue ink.

თბილისი საქართველო

06 აპრილი, 2022 წ

შპს აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია


2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ათასობით ლარში	შენიშვნები	2021	2020
ამონაგები	1	16,308.30	13,880.32
სხვა შემოსავალი	1.1	1,436.06	486.96
შრომის ანაზღაურება		(2,652.74)	(2,273.87)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	2.1	(2,359.16)	(2,311.51)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	2.2	(1,152.46)	(308.86)
მომსახურების ხარჯი	2.3	(751.40)	(360.69)
სხვა საოპერაციო ხარჯები	2.4	(56.60)	(59.44)
მოგება ცვეთის და ამორტიზაციის, ფინანსურ და მოგების გადასახადის ხარჯებამდე		10,771.99	9,052.91
ცვეთის ხარჯები		(1,456.87)	(1,516.15)
მოგება ფინანსურ და მოგების გადასახადის ხარჯებამდე		9,315.12	7,536.76
ფინანსური ხარჯი		0	(3,344.19)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		9,315.12	4,192.58
მოგების გადასახადის შემოსავალი		0	0
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მიმდინარე წლის მოგება		9,315.12	4,192.58

დუან ჩაო
გენერალური დირექტორი



რევაზ ბერიანიძე
ფინანსური მენეჯერი



2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ათასობით ლარში	შენიშვნები	2021	2020
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3.1	20,345.44	9,662.28
მოთხოვნები მიწოდებიდან	3.2	863.94	655.42
გადახდილი ავანსები	3.3	391.72	179.52
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3.4	39.33	109.49
წინასწარ გადახდილი გადასახადები		57.43	847.26
სულ მიმდინარე აქტივები		21,697.86	11,453.96
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3.5	26,186.78	27,295.97
არამატერიალური აქტივები		0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		26,186.78	27,295.97
სულ აქტივები		47,884.64	38,749.93
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	4.1	1,271.10	151.72
გადასახდელი პროცენტები	4.2	22,493.01	23,792.80
სულ მიმდინარე ვალდებულებები		23,764.11	23,944.52
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		18,097.28	18,097.28
დაუფარავი ზარალი		(3,291.87)	(7,484.45)
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		9,315.12	4,192.58
სულ საკუთარი კაპიტალი		24,120.53	14,805.41
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		47,884.64	38,749.93

დუან ჩაო
გენერალური დირექტორი



რევაზ ბერიანიძე
ფინანსური მენეჯერი



2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ათასობით ლარში	შენიშვნები	2021	2020
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		9,662.28	8,675.44
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)		16,122.91	13,847.25
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები (-)		(2,131.52)	(2,387.83)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები (-)		(2,150.89)	(1,835.90)
გადახდილი გადასახადები (-)		(1,024.19)	(1,227.21)
გაუთვალისწინებელი შემოსავლები (+)		29.24	27.08
გაუთვალისწინებელი ხარჯები (-)		0	0
სხვადასხვა (ქველმოქმედება, კურსთა შორის სავაობა) (-/+)		(470.55)	887.78
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		10,375.00	9,311.16
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა (-)		(236.09)	(1,013.51)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ფულადი სახსრები (+)		0	3.00
მიღებული პროცენტები (+)		544.26	459.90
მიღებული დივიდენდები (+)		0	0
სხვადასხვა (-/+)		0	0
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		308.17	(550.61)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
პარტნიორის მიერ საწესდებო კაპიტალის შევსება (+)		0	0
მიღებული გრძელვადიანი სესხები (+)		0	0
გადახდილი გრძელვადიანი სესხები (-)		0	(3,727.33)
გადახდილი პროცენტები (-)		0	(4,046.38)
გადახდილი დივიდენდები (-)		0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		0	(7,773.71)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს		20,345.44	9,662.28
ფულადი სახსრების და ექვივალენტების ზრდა (კლება)		10,683.16	986.84

დუან ჩაო
გენერალური დირექტორი



რევაზ ბერიანიძე
ფინანსური მენეჯერი



2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ათას ლარებში

#	მაჩვენებლები	საწესდებო კაპიტალი	საემისი ო კაპიტა ლი	სარეზერვო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	სხვა რეზერვები და დაფინანსებ ა	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ
I	ნაშთი საანგარიშო პერიოდის წინა წლის 1 იანვრისთვის	18097.28	0	0	0	0	(7484.45)	10612.83
1	საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება							
2	ქონების გადაფასება							
3	ინვესტიციების გადაფასება							
4	მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აუღიარებული მოგება (ზარალი)							
5	პერიოდის მოგება (ზარალი)							4192.58
6	დარიცხული დივიდენდები							
7	სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში							
II	ნაშთი საანგარიშო პერიოდის 1 იანვრისთვის	18097.28					(3291.87)	14805.41
1	საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება							
2	ქონების გადაფასება							
3	ინვესტიციების გადაფასება							
4	მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აუღიარებული მოგება (ზარალი)							
5	პერიოდის მოგება (ზარალი)							9315.12
6	დარიცხული დივიდენდები							
7	სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში							
III	ნაშთი მომავალი პერიოდის 1 იანვრისთვის	18097.28					6023.25	24120.53

დუან ჩაო
გენერალური დირექტორი



რევაზ ბერიანიძე
ფინანსური მენეჯერი



ვალდებულებების შესრულება, რომლების კომპანიას დაეკისრა ამ დადგენილებით, დამატებით ფინანსურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს.

სხვა მნიშვნელოვან მოვლენას რომლის განმარტებაც საჭირო იქნებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილი არ ჰქონია.

დუან ჩაო
გენერალური დირექტორი



რევაზ ბერიანიძე
ფინანსური მენეჯერი

